პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

1974 წ. № 208 (5238) 20 ოქტომბერი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## ვალდამდე

აჭარის სოფლის ფიზკულტურული ორგანიზაციები კარგი სპორტული მაჩვენებლებით ამთავრებენ IX ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს. პროფკავშირულ-კოოპერაციული სასოფლო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" აჭარის საოლქო საბჭომ 1 ოქტომბრისთვის შეასრულა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების წლევანდელი გეგმა-ვალდებულებანი. გეგმით ოთხი სპორტის ოსტატი უნდა მოგვემზადებინა, მომზადდა რვა. სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი 19 კაცმა შეასრულა, რაც გეგმას ათით აღემატება. ოთხმოცის მაგიერ მომზადდა 91 პირველთანრიგოსანი.

სხვა თანრიგების ნორმატივები 4226 კაცმა ჩააბარა. მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების გეგმას აჭარის სოფლის ორგანიზაციებმა თხუთმეტი კაცით გადააჭარბეს (3515).

გადაჭარბებით შესრულდა საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების გეგმაც.

თ. ბოლქვაძე.
„კოლმეურნის" აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე.

## 15 დეკემბერს მოსკოვში

### ნანა ალექსანდრია — ირინა ლევიტინას მატჩი

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმმა, რომელსაც ფიდე-მ დაავალა ქალთაშორის მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის ჩატარება, გამოაცხადა, რომ ნ. ალექსანდრია — ი. ლევიტინას ორთაბრძოლა გაიმართება მოსკოვში 15 დეკემბრიდან.

მატჩში უნდა გათამაშდეს 12 პარტია. მეტოქე, რომელიც ვადამდე მოაგროვებს 6,5 ქულას, გამარჯვებულად გამოცხადდება. ყაიმის (6:6) შემთხვევაში პრეტენდენტები ბრძოლას პირველ მოგებამდე განაგრძობენ.

გამარჯვებული პრეტენდენტი მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილს მატჩში შეხვდება გაისად შემოდგომაზე.

## ზეიმი ჭიათურის სტადიონზე

დიდი სპორტული ზეიმი მოეწყო ჭიათურაში მასწავლებლის საკავშირო დღეს. მადაროელთა ქალაქის პარტიულმა, კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა სათანადო მუშაობა გასწიეს, რათა ეს ღირსშესანიშნავი თარიღი ნამდვილ სადღესასწაულო ვითარებაში აღენიშნათ. ქალაქის სტადიონზე მოეწყო ფიზკულტურელთა მასობრივი გამოსვლები, სპორტული სანახაობები, შემდეგ ფეხბურთელთა მატჩი რესპუბლიკის პირველობაზე ადგილობრივ „მადაროელსა" და ხობის „კოლხეთს" შორის.

ზეიმზე მიწვეული იყვნენ სტუმრები ახლომდებარე სოფლებიდან, სხვადასხვა რაიონიდან, თბილისიდან... როცა სპორტული სანახაობები დამთავრდა, სტუმრებს, რაიონის მშრომელებს სტადიონთან უცდიდა სპეციალურად გამოყოფილი ავტობუსები შინ დასაბრუნებლად.

(ჩვენი კორ.).

ჭიათურა.

• • •

სურათებზე: მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სპორტული გამოსვლები ჭიათურის სტადიონზე.

თ. შეყრილაძის ფოტოები.





## თუ მოსკოვი აირჩიეს

რამდენიმე დღის შემდეგ ვენაში იხსნება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მორიგი სესია. იქ გადაწყდება, სად უნდა ჩატარდეს 1980 წლის ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშები.

როგორც ცნობილია, საზაფხულო თამაშების მასპინძლად მოსკოვის კანდიდატურაც არის წამოყენებული. მოსკოვში ყოველგვარი პირობები არსებობს ამ დიდი ასპარეზობის ჩასატარებლად. თუ საკითხი საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქის სასარგებლოდ გადაწყდა, მის საუცხოო სპორტულ ბაზებს ახალი ნაგებობებიც შეემატება.

სურათებზე თქვენ ხედავთ მოსკოვის ოლიმპიურ ნაგებობათა პროექტებს: ზევიდან — 48000-ადგილიანი სპორტის სასახლე მშვიდობის პროსპექტზე; ლუჟნიკის რეკონსტრუირებული მცირე სპორტული სარბიელი; ოლიმპიური სოფელი.







ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ა. მხეიძე მოსკოვიდან ტელეფონით გადმოგვცემს

## მხოლოდ პირველ პერიოდში

### სსრ კავშირის პირველობა წყალბურთში

მოსკოვი. 18 ოქტომბერი. ცსკა-ს საცურაო აუზი.

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი) 4:6 (2:2, 1:2, 0:1, 1:1).

თბილისი: გულედანი, კურტანიძე, სანაძე, ერაძე, რურუა, ისელიძე, არუთინოვი, იოსელიანი, უშანგიშვილი (აქ და შემდეგაც დასახელებულია ყველა, ვინც ითამაშა).

მოსკოვი: ბოეინი, შევერნიოვი, უდალოვი, სიდორეევი, კომაროვი, სევრიუკოვი, გრიგორიევი, ტატარინოვი.

მსაჯი ა. კუზნეცოვი (ჩელიაბინსკი).

დღევანდელ მეტოქეთა შეხვედრები მუდამ დიდ ინტერესს იწვევს. გუნდების სატურნირო მდგომარეობა ამჯერადაც დაძაბულ ბრძოლას გვპირდებოდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა: თბილისელებმა ასე თუ ისე მხოლოდ პირველ პერიოდში შეძლეს წინააღმდეგობა გაეწიათ მეტოქისთვის.

თამაში ჩვენებმა კარგად დაიწყეს: 41-ე წამზე ოთხმეტრიანი საჯარიმო კარგად გამოიყენა იოსელიანმა და ანგარიში გაიხსნა. 25 წამის შემდეგ პენალტი უკვე მოსკოველებმა გამოიყენეს — ბურთი სევრიუკოვმა გაიტანა. პერიოდის ბოლომდე სანაძემ და სიდორეევმა კიდევ თითოჯერ აიღეს მეტოქეთა კარი და შესვენებისთვის ანგარიში საყაიმო იყო.

მეორე პერიოდი თავიდან ორმხრივი იერიშებით წარიმართა. აქ თავი გამოიჩინა თბილისელთა მეკარე გულედანმა, რომელმაც გრიგორიევის ოთხმეტრიანი საჯარიმო დარტყმა მოიგერია და ორჯერ იხსნა გუნდი აშკარა გოლისგან. მაგრამ მე-3 წუთის მიწურულს სევრიუკოვმა შორიდან დარტყმით მაინც გაიტანა ლამაზი ბურთი. შემდეგ თბილისელი მცველების შეუთანხმებელი თამაშით ისარგებლა სიდორეევმა და მეოთხე ბურთი შააგდო თბილისელთა კარში. პერიოდის დამთავრებას წამები აკლდა, როცა ერაძემ ამ ბურთს გოლით უპასუხა.

მესამე პერიოდის დასაწყისში თბილისელები რიცხობრივად ნაკლები იყვნენ, მაგრამ მთელი 4 წუთის მანძილზე უვნებლად დაიცვეს კარი. პერიოდის დამთავრებას 3 წამი აკლდა, როცა სევრიუკოვმა მეხუთე გოლი გაიტანა.

მეოთხე პერიოდში ბრძოლა თითქმის არ გაჩაღებულა, რადგან თბილისელები წაგებას შეურიგდნენ. მეტოქეებმა თითო გოლი გაიტანეს პენალტებით (გრიგორიევი და იოსელიანი) და მატჩიც დამთავრდა.

II ადგილისთვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოველი მეზღვაურებისა (სსფ ცსსკ) და კიევის დინამოელების შეხვედრას. გამარჯვებული მხოლოდ ბოლო პერიოდში გამოვლინდა: მოსკოველებმა მეტოქეს სძლიეს ანგარიშით 5:4 (1:1, 2:2, 1:1, 1:0).

მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელთა გუნდმა, რომელიც უკვე ჩემპიონი იყო, ლვოვის „დინამო" დაამარცხა — 8:5 (2:1, 2:3, 2:0, 2:1). სტუდენტებმა ბრწყინვალედ ითამაშეს.

თბილისელებს ჩასატარებელი დარჩათ კიდევ ორი შეხვედრა — მოსკოველ მეზღვაურებთან და კიეველ თანაკლუბელებთან.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტ. | 19 | 16 | 2 | 1 | 107:64 | 34 |
| სსფ ცსსკ | 19 | 9 | 8 | 2 | 96:76 | 26 |
| „დინ". (კ.) | 19 | 10 | 5 | 4 | 83:68 | 25 |
| „დინ." (მ.) | 19 | 5 | 10 | 4 | 73:70 | 20 |
| „დინ." (ლვ.) | 19 | 7 | 5 | 7 | 65:77 | 19 |
| „დინ. (თბ.) | 19 | 4 | 3 | 12 | 86:100 | 11 |

### ბაქოში

მიმდინარეობს უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო პირველობა — აქ მოასპარეზე გუნდები ერთმანეთს VII-XII ადგილებს ეცილებიან.

მოგვყავს შეხვედრების შედეგები:

16 ოქტომბერი. „დინამო" (ხარკოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 5:7, „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) — „ბალტიკა" (ლენინგრადი) 6:6, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) — „დინამო" (ალმა-ათა) 6:4.

17 ოქტომბერი. „ტორპედო" — „დინამო" (ალმა-ათა) 4:5, „დინამო" (ხარკოვი) — „სპარტაკი" 3:3, კწფ (ბაქო) — „ბალტიკა" 4:4.

## დიდება სპორტული, დიდება საბრძოლო

კიევი, 17 ოქტომბერი. „საბჭოთა კავშირის სპორტსმენები — ფაშისტი ოკუპანტებისგან უკრაინის გათავისუფლებისთვის ბრძოლების მონაწილენი", — ასე ჰქვია ახალ ექსპოზიციას, რომელიც დღეს გაიხსნა სსრ კავშირის სპორტული დიდების მუზეუმში.

მუზეუმის მუშაკების მიერ დიდი რუდუნებითა და სიყვარულით შეგროვილი მასალები შთამბეჭდავად და ამაღელვებლად გვიამბობენ იმ ადამიანთა შესახებ, რომლებმაც სპორტული დიდების გზა მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშნებით დაიწყეს, ახლა კი ორდენებითა და მედლებით, გმირის ვარსკვლავებით აქვთ დამშვენებული მკერდი.

ინტერნაციონალური საბრძოლო ძმობის უკვდავ ფურცლებს გვიშლიან თვალწინ აქ გამოფენილი ექსპონატები, გარდასული ბრძოლების უშუალო მოწმეთა მოგონებები, უკრაინის გათავისუფლების მონაწილეთა პირადი ნივთები.

სპორტული დიდების მუზეუმის ახალი, ფაშისტი დამპყრობლებისგან უკრაინის გათავისუფლების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი სტენდები დაუვიწყარ ფურცლებად შევა სსრ კავშირისა და უკრაინის სპორტის გმირულ მატიანეში.

ს. ბელოვი.
(საკდესის კორ.).

# ტურიზმი ჯანმრთელობისა და სიმხნევის წყაროა!

## „ოქროს ჩარდახის" ნანგრევებზე

### ტურისტთა სასახლე

ჩუხჩუხარი რიონის ტალღები ძლიერად აწყდება კლდოვან ნაპირს. სწორედ ამ კლდეებზე იყო დაშენებული სოლომონ მეფის დიდებული სასახლე „ოქროს ჩარდახი". ჩვენს დრომდე მხოლოდ მისმა ნანგრევებმა მოაღწია, უფრო ზუსტად, პირველი სართულის თაღებმა. დღეს სწორედ ამ თეთრი ქვის თაღებზეა აშენებული ძველი ქართული სტილით ნაგები სახლი. მასაც „ოქროს ჩარდახი" ჰქვია. დღეს აქ მეფეების ნაცვლად ტურისტები დაიბინადრებენ. იგი მათი საყვარელი კლუბია.

კლუბით, ვამბობთ, თორემ უფრო ზუსტი იქნებოდა მისთვის ტურისტთა სასახლე გვეწოდებინა.

„ოქროს ჩარდახის" შენობა ქართული კრამიტითაა დახურული. ოთხივ მხრივ აივნები აკრავს. ერთ-ერთი მობუბუნე რიონს გადაჰყურებს. შენობაში ერთი დიდი დარბაზია. მის კედლებზე ისეთივე შანდლებია ჩარიგებული, როგორიც აივნებზე. ერთ მხარეს კი მოხდენილი, დიდი ბუხარია. შორიახლოს ხის მაგიდა დგას ხისავე სამფეხა სკამებით. ბუხრის თავზე უზარმაზარი ჯიხვის რქები დაუკიდიათ. ამ დიდებულ დარბაზში მხოლოდ ერთი რამაა თანამედროვე — კედლებზე გაკრული ფოტოსურათები. მათზე ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი, მისი ბინადარნი და ხუროთმოძღვრების ძეგლებია აღბეჭდილი.

### პატარა ოთახში მიღებული შთაბეჭდილებები

ახლა მეორე ოთახშიც შევიხედოთ. იგი ბევრად პატარაა დარბაზზე, მაგრამ აქ უფრო ბევრი საინტერესო რამის ნახვა შეიძლება. აგერ ზარბაზნის ჭურვის მასრა, განმუხტული ნაღმი, ყუმბარის ნამსხვრევები... ყველაფერი ეს „ოქროს ჩარდახის" ტურისტებმა ჩამოიტანეს ქლუხორის, მამისონის, მარუხისა და მრუხის ზეკარებიდან, სადაც ისინი მოგზაურობდნენ დევიზით „საბჭოთა ხალხის საბრძოლო დიდების ნაკვალევზე" და „სახელოვანი ქართული 414-ე დივიზიის ბრძოლების ნაკვალევზე".

აქვეა ფოტოსტენდები და ალბომები. რა არ არის ამ სურათებზე აღბეჭდილი: „ოქროს ჩარდახის" ტურისტები ბრესტში თუ ენგურჰესის გრანდიოზული კაშხალის მშენებლობაზე, ძმათა სასაფლაოზე თუ ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში, ლენინურ ადგილებში თუ მდინარე რიონზე ბაიდარებით დაშვებისას, სათაფლიის მღვიმეებში თუ „ოქროს ჩარდახში" მომუშავე სამეცნიერო სესიაზე. ეს სესია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლოგიურმა კომისიამ და ქუთაისის პედინსტიტუტმა ჩაატარეს ხასპინძლებთან ერთად სპელეოლოგიის პრობლემურ საკითხებზე. სესიის მუშაობაში ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ სწავლული სპელეოლოგები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და მოძმე რესპუბლიკებიდან.

ერთი კედელი დიპლომებით, სიგელებითა და ვიმპელებითაა დაფარული. აი, ეს დიპლომი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, დოსააფის ცენტრალური კომიტეტისა და ტურიზმის ცენტრალური საბჭოსგან მიიღეს საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების გზებზე მოწყობილ საკავშირო ლაშქრობაში აქტიური მონაწილეობისთვის. ეს პირველი ხარისხის დიპლომი ტურიზმის ცენტრალური საბჭოს მიერ გამოცხადებულ ტურისტული კლუბების საკავშირო დათვალიერებაში მიუღიათ, ეს სიგელი კი შარშან მოუპოვებიათ რესპუბლიკის ტურისტული კლუბების დათვალიერებაში გამარჯვებით.

აქ კიდევ ბევრი დიპლომი და სიგელია გამოფენილი. ეს ჯილდოები „ოქროს ჩარდახმა" თავისი არსებობის 12 წლის მანძილზე დააგროვა. როცა კლუბის წარმატებებზე ვლაპარაკობთ, პირველ ყოვლისა მისი ხელმძღვანელი უნდა გაგაცნოთ, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე უძღვება „ოქროს ჩარდახს". ეს კაცი საქართველოში ტურიზმის ერთ-ერთი პიონერი, სპორტის ოსტატი გივი ყალაბეგიშვილი გახლავთ.

### ბუნების თაყვანისმცემელი

გივი ყალაბეგიშვილი თმაშევერცხლილი, 57 წლის კაცია, მაგრამ ტურიზმისა და მთამსვლელობის გარეშე ცხოვრება დღესაც ვერ წარმოუდგენია. თავის მხრივ ბუნებაც უხვად უხდის ამ სიყვარულის სამაგიეროს: ჯანმრთელობას, სილაღესა და ცხოვრების ხალისს აძლევს.

— ყმაწვილი კაცი ვიყავი, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვსწავლობდი, — იგონებს ვეტერანი. — 1938 წლის ერთ მშვენიერ დღეს შევიტყვე, რომ ჩვენს ლექტორებს მელენტი სანებლიძესა და ალეკო მიქელაძეს ონიდან ყაზბეგამდე ქვეითი ლაშქრობის მოწყობა გადაეწყვიტათ. 25 მოლაშქრე სტუდენტს შორის მეც მოვხვდი. ეს იყო ჩემი დებიუტი ტურიზმში.

ყაზბეგში ჩასულებმა შევიტყვეთ, რომ ლეგენდარული ალიოშა ჯაფარიძე იქ პირველ ალპინიადას ატარებდა ჯიმარაზე. სხვებთან ერთად მეც დავიპყარი მწვერვალი. აი, ასე გავხდი მთამსვლელი.

ამას შემდეგ ყალაბეგიშვილმა ჩვენი ქვეყნის უთვალავი ტურისტული მარშრუტი დალაშქრა. მან ბევრი მწვერვალი დაიპყრო კავკასიონზე, პამირსა და ტიან-შანზე.

გივი ყალაბეგიშვილს ყველა იცნობს, როგორც შესანიშნავ ორგანიზატორს. ამიტომაც არის, რომ მას ხშირად ირჩევენ მთამსვლელთა ექსპედიციებისა და ტურისტული ლაშქრობების ხელმძღვანელად.

სხვათა შორის, გივი უშუალო მონაწილე იყო (მ. გვარლიანთან და გ. გულბანთან ერთად) 1954 წელს პამირში ერთ-ერთი უსახელო მწვერვალის დაპყრობისა, რომელსაც „თეთნულდის მსხვერპლნი" დაარქვეს.

იგი არც „თავდაყირა ალპინიზმის" — სპელეოლოგიის მიმართ დარჩა გულგრილი. მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობითაა შესწავლილი ქუთაისის, სათაფლიის, ასხის, ხვამლისა და სხვა კარსტული მღვიმეები.

1955 წლის ერთ მშვენიერ დღეს კი გივი ყალაბეგიშვილმა ტურიზმის რესპუბლიკურ საბჭოში დეპეშა აფრინა: „13 ივნისს წარმატებით დამთავრდა ძევრულის უფსკრულის იერიში. მიღწეულია საბჭოთა კავშირში ყველაზე დიდი სიღრმე — 291 მეტრი".

1967 წელს ყალაბეგიშვილი სხვა ქართველ სპელეოლოგებთან ერთად მონაწილეობდა პოლონეთის მღვიმეების შესწავლაშიც.

გ. ყალაბეგიშვილის მონაწილეობით ჩატარებული ყველა ლაშქრობის მშრალ ჩამოთვლასაც კი ალბათ ჩვენი გაზეთის ოთხივე გვერდი არ ეყოფოდა. ასევე ბევრ დროსა და ადგილს წაგვართმევს გივის სიგელების ჩამოთვლა. დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს: 1960 წელს მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, საკავშირო სპორტკომიტეტის სიგელი, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა სიგელი.

### მისი ფიქრი და ცდა ქეგული

გივი ტურიზმსა და მთამსვლელობაზე ფიქრით სულდგმულობს. მის ქალაქში ტურიზმი უფრო და უფრო იფურჩქნება, მაგრამ გივი ყალაბეგიშვილს უფრო მეტი უნდა. იგი ოცნებობს, რომ ქუთაისი ტურიზმის ჭეშმარიტ ცენტრად გადაიქცეს.

„ქუთაისში დიდებული ბუნებრივი პირობებია ტურიზმის განვითარებისთვის. შაბათ-კვირას, მაგალითად, ქვეითი ლაშქრობის მოწყობა შეიძლება სათაფლიის ნაკრძალში, გელათში, მოწამეთაში, მუხნარის ტყეში, შაორის ველზე, ხვამლის ქედზე... ამ ადგილებში დადიან კიდეც ჩვენი მშრომელები და ტურისტულ მრავალჭიდში შეჯიბრებებსაც აწყობენ. განსაკუთრებით პოპულარულია ცნობილი მხარეთმცოდნის პეტრე ჭაბუკიანის სახელობის გარდამავალი თასის გათამაშება. ტურისტებს დიდ დახმარებას უწევს ჩვენი კლუბი, რომელსაც სრულფასოვანი მუშაობისთვის ყოველგვარი პირობები აქვს შექმნილი. ჩვენთან მუშაობს საწყლოსნო, ავტო-მოტო, სამთო, ქვეითი ტურიზმის სექციები, ფოტო-კინომოყვარულთა, მხარეთმცოდნეთა და მეთევზეთა სექციები. მათ დამუშავებული აქვთ უამრავი მარშრუტი, მათ შორის, მთდ კომპლექსისაც. მაგრამ მასობრივი ტურიზმის უფრო მეტად აყვავებისთვის, ჩემი აზრით, საჭიროა საწარმო-დაწესებულებებსა და სასწავლებლებში შეიქმნას ტურისტული სექციები. საჭიროა საავტომობილო გზების კეთილმოწყობა ქუთაისიდან სათაფლიის ნაკრძალამდე და გელათამდე, უნდა აშენდეს ტურისტული სასტუმროები, კემპინგები, საბაგირო გზა ხვამლის მთაზე. მაშინ ტურისტების გარდა, მოიგვებენ სპელეოლოგები, სამთოსათხილამურო სპორტის მიმდევრები. კეთილმოსაწყობია კარსტული მღვიმეებიც, კარგა ხანია თვალი დავადგით რესტორან „ხვამლის" შენობას, სადაც შეიძლება საჭადრაკო და ალპური კლუბის მოწყობა", — გვითხრა გივი ყალაბეგიშვილმა.

...შებინდდა. ვემშვიდობებით „ოქროს ჩარდახს". ეზოში შრიალებს ბებერი ჭადარი, კაკლის ხე, ტირიფი... ქვევიდან რიონის ბუბუნი ისმის. ამ ზღაპრულ ეზოს, რომელიც პატარა ბოტანიკურ ბაღს ჰგავს, ადამიანის სიმაღლე ხის მესერი აკრავს. მის ჭიშკარში უამრავი ტურისტი შემოდის, რათა მერე კმაყოფილმა დატოვოს ეს მყუდრო ადგილი.

გამომშვიდობებისას ყალაბეგიშვილმა გაგვაცნო ის მუშები, რომლებიც მას მხარში უდგანან ტურისტულ მუშაობაში. ესენი არიან: „ოქროს ჩარდახის" ერთადერთი შტატიანი ინსტრუქტორ-მეთოდისტი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი ა. კენჭაძე, აქტივისტები — კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი თემურ შამიაშვილი, ჟურნალისტი თამაზ ხარაბაძე, მთამსვლელები მურად ჭიჭინაძე, განგელი მინდაძე, გივი ჩუბინიძე...

**ა. ბურასაშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქუთაისი.

* * *





სურათებზე: გ. ყალაბეგიშვილი; ტურისტები „ოქროს ჩარდახის" თაღებქვეშ.

ავტორის ფოტოები.

## კომკავშირის დაბადების დღეს მიეძღვნა

დიდი გამოცოცხლება იყო გამარჯვების პარკის, კუს ტბისა და უძოს მთის მიდამოებში. ამ ადგილებში თბილისის ტურისტულმა კლუბმა კომკავშირის საქალაქო კომიტეტთან და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ტურიზმის განყოფილებასთან ერთად ჩაატარა ლენინური კომკავშირის დაბადების დღისა და საზაფხულო ტურისტული სეზონის დახურვისადმი მიძღვნილი ტურისტული შეკრება-შეჯიბრება. ამ ღონისძიებაში საწარმო-დაწესებულებებისა და სხვადასხვა სისტემის სასწავლებლების 15 კოლექტივი მონაწილეობდა.

შეკრება-შეჯიბრების პროგრამა ითვალისწინებდა მასობრივ ქვეით ლაშქრობას გამარჯვების პარკიდან უძოს მთამდე და თან მთდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას, აგრეთვე, შეჯიბრებას ტურისტულ ესტაფეტაში და კონკურსს კარვების ქალაქის საუკეთესო მოწყობა-გაფორმებაში.

მასობრივ ლაშქრობაში I ადგილი მოიპოვა საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმის გუნდმა, რომელმაც 325 სტუდენტი და მასწავლებელი გამოიყვანა სტარტზე. ტურისტულ ესტაფეტაში საუკეთესო იყო დიმიტროვის სახელობის თბილისის საავიაციო ქარხნის გუნდი. სამწუხაროდ, პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვან სახეობაში — მასობრივ ლაშქრობაში არც ერთი დიმიტროველი არ გამოსულა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი და კომკავშირის საქალაქო კომიტეტის გარდამავალი თასი თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კოლექტივმა მოიპოვა. II ადგილი დაიკავა სავაჭრო-კულინარულმა სასწავლებელმა, ხოლო III — საფინანსო-ეკონომიურმა ტექნიკუმმა.

სამწუხაროდ, ამ სასარგებლო და საინტერესო ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიუღიათ ისეთი ტურისტული ტრადიციების მქონე კოლექტივს, როგორიც არიან სამხატვრო აკადემია, მაუდ-კამვოლის კომბინატი, ტოპოგრაფიული ტექნიკუმი, სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა...

მიზეზი ისაა, რომ კომკავშირის რაიონული კომიტეტები ზერელედ მოეკიდნენ შეკრება-შეჯიბრებაში მონაწილეობის საკითხს. განსაკუთრებით ეს შეეხებათ 26 კომისრისა და საქარხნო რაიონებს, საიდანაც გეგმით გათვალისწინებული ხუთ-ხუთი კოლექტივის ნაცვლად მხოლოდ თითო გუნდი გამოვიდა სტარტზე და ისიც პროგრამის ერთ სახეობაში.

შეკრება-შეჯიბრების შედეგები გამარჯვების პარკის საზაფხულო ესტრადაზე შეჯამდა, სადაც გამარჯვებულთა დაჯილდოების შემდეგ ნაჩვენები იქნა ტურისტული ფილმები.

ტურისტთა თავყრილობა შესანიშნავად იყო მოწყობილი და გაფორმებული, რაშიც დიდი დახმარება გაგვიწია გამარჯვების პარკის (დირექტორი შ. მდინარაძე) დირექციამ.

**ო. ბოზოხიძე,**
შეკრება-შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, თბილისის ტურისტული კლუბის დირექტორი.

## ღამისთევა კოცონთან

გუშინწინ ხეობაში ორ დღეს მიმდინარეობდა სოხუმის ტურისტთა საქალაქო შეკრება-შეჯიბრება.

პირველი დღის ტურისტული ლაშქრობის შემდეგ შეკრების მონაწილეებმა ღამე მდინარის პირას გაშლილ კარვების ქალაქში, კოცონთან გაათიეს.

მეორე დღეს ტურისტები მეგობრობის პარკში ხაზზე ჩამწკრივდნენ. მათმა ხელმძღვანელებმა სოხუმის ტურისტთა კლუბის დირექტორს შეჯიბრებისთვის მზადყოფნის პატაკი ჩააბარეს.

საინტერესო იყო შეჯიბრება ტურისტულ ესტაფეტაში, რომლის პროგრამაშიც შედიოდა მეკლდეურობა, მდინარის გადალახვა, „დაშავებულთა" გადაყვანა, ველორბოლა, კარვის გაშლა და სხვ.

შეკრება-შეჯიბრებაში I ადგილი და გარდამავალი თასი „სოხუმხელსაწყოს" ტურისტებმა დაიმსახურეს. II ადგილი დაიკავეს ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა, ხოლო III — ინდუსტრიული ტექნიკუმის ტურისტებმა.

იმავე დღეს ჩატარდა ნორჩ ტურისტთა შეკრება-შეჯიბრება. გარდამავალი თასის მოპოვებისთვის ერთმანეთს ებრძოდნენ სოხუმის 17 საშუალო სკოლის წარმომადგენლები. გამარჯვება წილად ხვდათ მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეებს.

**ნ. მიქაშავიძე.**
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

## ათი მშვენიერი დღე

ამ დღეებში დაღესტნიდან დაბრუნდა თბილისელ და ლაგოდეხელ ტურისტთა გაერთიანებული ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც 12 კაცი შედიოდა. ჯგუფს ხელმძღვანელობდა ლაგოდეხის ტურისტული კლუბის გამგეობის თავმჯდომარე ს. ბერიშვილი.

ტურისტები ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლიდან ვენტლაშენის ზეკარით გადავიდნენ კავკასიონის მთავარ ქედზე, გაიარეს დაღესტნის აულები, ბეჟტა, გუნლესი, ტუმილუხი და ბელაქნის ზეკარით აზერბაიჯანში ჩავიდნენ.

ამ მარშრუტის გავლას, რომელიც მე-2 კატეგორიის სირთულისაა, ტურისტები ათ დღეს მოუნდნენ.

**მაია რუსაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როცა უცხოელებიც იმავე აზრის არიან

შინაური რომ შეაქებს, თავს თითქოს უხერხულად გრძნობ. არადა, თბილისის ცენტრალური ველოტრეკის შესახებ იმდენი კარგი შეხედულება გამოითქვა ბოლო ხანს, რომ იძულებული ვიყავით სიტყვა ბანზე აგვეგდო და საუბრის თემა მშენებლობის გაჭიანურებით შეგვეცვალა. მშენებლობა, მართლაც ზომაზე მეტად გაჭიანურდა, მაგრამ... თვით ნაგებობა მართლაც უნიკალური გამოდგა.

ამას ჯერ კიდევ ადგილობრივი ველოსიპედისტები ამბობდნენ. მაგრამ იმასაც მივაქციეთ ყურადღება, რომ თბილისის ტრეკის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ ცნობილი სპეციალისტებიც, პირველ ყოვლისა ვ. ბახვალოვი და რ. ვარგაშკინი. მათ არც ერთი ხელსაყრელი მომენტი ხელიდან არ გაუშვიათ: ხან ერთი საკავშირო შეჯიბრება დაიგეგმა ამ ტრეკზე, ხან მეორე, ხან უცხოელი ველოსიპედისტები მოიწვიეს საასპარეზოდ, ხან საბჭოთა ნაკრების წვრთნები.

ამას წინათ თბილისში ჩამოვიდნენ ველოსპორტის ყველაზე მკაცრი მსაჯულები — იტალიელი ველოსიპედისტები. ვის ვის და მათ ველოდრომის ხარისხით ვერ გააკვირვებ, ვინაიდან იტალიის ყოველ ქალაქს აქვს ერთი ან ორი დიდებული ტრეკი, მათ შორის საუკეთესო — მილანის „ვიგორელი" კი ველოსპორტის მშვენებად ითვლება.



და აი, სწორედ ეს ყოვლის მნახველი იტალიელები ალაფრთოვანა ჩვენმა ტრეკმა. ჯერ იყო და აღტაცება ვერ დაფარა საველოსიპედო ფირმის ერთ-ერთმა მეთაურმა პ. კამპანიოლამ. ტრეკის საფარის იდეალურობა იტალიელმა ველოსიპედისტებმაც აღიარეს. მერე დაახლოებით იგივე თქვა ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონმა და შემდგომში ერთ-ერთმა უძლიერესმა პროფესიონალმა ს. ბიანკეტომ. სასიამოვნო მოსასმენი იყო მათი სიტყვები. გული სიამაყით გვევსებოდა, რომ თბილისის ველოტრეკის ღირსებებზე ასე ლაპარაკობდნენ უცხოელი სპეციალისტები.

თავისი აღტაცება ვერც ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის გენერალურმა მდივანმა მ. ეკელმა დაფარა.

სინანულით იგონებს თავის ახალგაზრდობას სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი საველოსიპედო სპრინტსა და ციგურაობაში, ჰოლიტოვების სახელოვანი გვარის წარმომადგენელი იგორი. მის დროს საბჭოთა ქვეყანაში ერთი თუ ორი ნორმალური ტრეკი იყო მხოლოდ, დღეს კი პირველხარისხოვანი სპორტული ნაგებობები სოკოებივითაა მოფენილი სსრ კავშირის ქალაქებში. იპოლიტოვმა 1952 წელს გადასცა ჩემპიონის ესტაფეტა ოთარ დადუნაშვილს და ახალგაზრდობის აღზრდას შეუდგა. მაგრამ იგი ღრმად არის დარწმუნებული, რომ თბილისის ველოტრეკზე დღესაც შეძლებს ლაღად განავარდებას.

ისინი, უცხოელი და საბჭოთა ვეტერანები, ინტერესით ადევნებდნენ თვალს თბილისურ სტარტებს, სპრინტერთა ფინალის წინ კი სარბიელზე გამოვიდნენ და გზა დაულოცეს მოასპარეზეთ გადამწყვეტ რბოლაში.

ამ სურათზეც სწორედ სპრინტერთა ფინალური სტარტის მომენტია აღბეჭდილი. მესტარტის ნიშნის მოლოდინში ველოსიპედისტები (მარცხნიდან) ა. ვდოვინი (ბელორუსია), გ. ბაბაიანი (სომხეთი) და გ. კოპილოვი (რსფსრ) სმენად არიან ქცეული. მათ ასისტენტობას უწევენ (ასევე მარცხნიდან) სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი სპრინტში და ნაკრები გუნდის მწვრთნელი რ. ვარგაშკინი, ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, იტალიელი ს. ბიანკეტო, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ო. ფხაკაძე, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და საბჭოთა ველოსპორტის ერთ-ერთი ვეტერანი ი. იპოლიტოვი, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი



და ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ო. დადუნაშვილი.

მეორე ფოტოზეც ღირსახსოვარი მომენტია აღბეჭდილი: პ. კამპანიოლა თავისი ფირმის პროდუქციას — „დეროზის" მარკის ველოსიპედს გადასცემს ბ. ისაევს — წლევანდელი სეზონის საუკეთესო საბჭოთა ველოსიპედისტს საგზატკეცილო რბოლებში.

**ნ. ბუზუჩვილი.**

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

# სხვაობა მცირდება

ყოველი სამუშაო დღე თბილისის ცენტრალურ ველოტრეკზე მოტოციკლების გუგუნით მთავრდება. სალიდერო რბოლა არ არის შეტანილი სსრ კავშირის თასის გათამაშების პროგრამაში, მაგრამ სპორტსმენები ცდილობენ ხელიდან არ გაუშვან ჩვენი დედაქალაქის ზავერდოვანი შემოდგომის წყალობა. ამინდი თბილისში მართლაც ისეთია, რომ უკეთესს ვერ ინატრებ. და თუ ასეთ დროს გულიც გერჩის, ბურთიცა და მოედანიც შენს განკარგულებაშია!

გული კი, როგორც გამოირკვა, ბევრს ერჩის და ყოველდღე თითო რეკორდი მაინც ემხობა ჩვენს ტრეკზე. იტალიელებმა სინანული გამოთქვეს იმის გამო, რომ თბილისში ჩამოსული არ არიან მათი უძლიერესი ველოსიპედისტები... მაგრამ ვინც თბილისშია, ისინიც ცდას არ აკლებენ, რომ მცირედი წვლილი მაინც შეიტანონ რეკორდებზე შტურმში.

ამ ორიოდე დღის წინათ მოსკოველმა სტაიერმა მ. მარკოვმა და მისმა ტულელმა თანამეწყვილემ ე. ვლასოვმა იერიში მიიტანეს საკავშირო რეკორდებზე და ორჯერ იზეიმეს გამარჯვება: 25 კილომეტრზე 17.55,18 აჩვენეს, 50 კილომეტრზე კი მთელი 16 წამი დააკლეს ძველ შედეგს (ახალი რეკორდი 35.41,9 იყო).

მაგრამ, როგორც გამოირკვა, ამ მიღწევას მხოლოდ ერთი დღე-ღამის სიცოცხლე ეწერა. ზუსტად 24 საათის შემდეგ ორივე რეკორდი თბილისელმა ველოსიპედისტმა ა. პროკოპენკომ (ლიდერი ი. კავსაძე) გააუმჯობესა. 25 კილომეტრის გავლას მან 17.43,95 მოანდომა, 50-კილომეტრიან მანძილზე კი 35.15,96 აჩვენა.

რეკორდებისთვის ბრძოლა გრძელდება. ამ ბრძოლაში სულ უფრო მცირდება სხვაობა საკავშირო და მსოფლიო რეკორდებს შორის.

**ნ. ახვლედიანი.**

# რეკორდები აუცილებლად დაემხობა

მ. ეკელი,

ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის გენერალური მდივანი

მე მინდა პირველ ყოვლისა გამოვთქვა დიდი მადლობა იმ სტუმართმოყვარეობისა და გულითადობისთვის, რომლითაც თბილისში შეგვხვდნენ.

საერთაშორისო შეჯიბრებამ საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა ჩინებული ორგანიზაციით, სილამაზით და განსაკუთრებული საზეიმო განწყობილებით.

განსაკუთრებულ ქებას იმსახურებს სარბიელი, სადაც რბოლები ტარდება. ეს ტრეკი, თუმცა ჯერ კიდევ მშენებლობის სტადიაშია, დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. მას აქვს ყველა ობიექტური მონაცემი იმისთვის, რომ მსოფლიოში საუკეთესო იყოს. კონსტრუქცია და საფარი საუცხოოა. ასეთია არა მარტო ჩემი, არამედ ყველა მონაწილის შეხედულება.

დღეს ბევრი მეხიკოსკენ მიიჩქარის მაღალმთიან ტრეკზე რეკორდების დასამყარებლად. მაგრამ, მე ვფიქრობ, ეს სარბიელი დაკარგავს მიმზიდველ ძალას, როცა მრბოლელები თბილისის ველოდრომს გაეცნობიან. აქ ძალიან ბევრი რეკორდი დაემხობა!

დასასრულ მინდა კიდევ რამდენიმე სიტყვა ვთქვა საქმის ისეთ მნიშვნელოვან მხარეზე, როგორიცაა შეჯიბრების ორგანიზაცია. თბილისში ყველა სპორტსმენი კმაყოფილი, კარგი განწყობილებით გამოდის სარბიელზე. ეს დიდებულია. გაჩაღებულია უმძაფრესი ბრძოლა, მაგრამ არც ერთი ინციდენტი არ მომხდარა, არ ყოფილა კამათისა და უთანხმოების არც ერთი შემთხვევა.

# მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას — შეუნელებელი ყურადღება!

✦ ✦ ✦

### ვეხმაურებით მ. მჭედლიშვილის წერილს „იქნებ ასე სჯობდეს"

## ეს საკითხებიც მოსაგვარებელია

მ. მჭედლიშვილი სწორად აყენებს საკითხს სკოლაში ფიზაღზრდის გაკვეთილების უკმარობის შესახებ. მართლაც, კვირაში ორი გაკვეთილი ძალიან ცოტაა, ვინაიდან ბავშვების უმრავლესობა არ არის ჩაბმული სპორტულ სექციებში. უდავოდ დიდი საქმე გაკეთდება, თუ ფიზაღზრდის გაკვეთილი ყოველდღე ჩატარდება.

დაწყებითს კლასებში ფიზკულტურას არასპეციალისტები ასწავლიან. V კლასამდე პატარები ისე მოდიან, რომ ფიზაღზრდის ნამდვილ გაკვეთილზე წარმოდგენა არა აქვთ. სპორტთან მათი დაახლოება აქ თავიდან უნდა დაიწყოს. ამიტომ, ჩვენი აზრით, დაწყებითს კლასებშიც სპეციალისტები უნდა გაუძღვნენ ფიზკულტურის სწავლებას.

საჭიროა მოგვარდეს ფიზაღზრდის მასწავლებლის დატვირთვის საკითხიც. მას ძალიან ბევრი საქმე აბარია: გამაჯანსაღებელი მუშაობა, მშდ კომპლექსის ნიშნოსნების, თანრიგოსნების, საზოგადოებრივი მსაჯების, ინსტრუქტორების, გუნდების მომზადება...

თუ რომელიმე სკოლამ, მაგალითად, კალათბურთში თასი მოიპოვა ან რაიონის ჩემპიონობა დაისაკუთრა, ეს როდი ნიშნავს, რომ ამ სკოლაში მოსწავლეთა გაჯანსაღების მხრივ მუშაობა მაღალ დონეზე დგას. სკოლაში მასწავლებლის მთავარი საზრუნავი გაკვეთილის ხარისხიანად ჩატარება უნდა იყოს.

კარგი იქნება, თუ IV კლასიდან ფიზკულტურის გაკვეთილები გოგონებისა და ბიჭებისთვის ცალ-ცალკე ჩატარდება. ამით ბავშვებს გაუადვილდებათ სპორტის ცალკეული ელემენტების შესწავლა, გაიოლდება მოსწავლეთა მომზადებაც შემდგომი დაოსტატებისთვის.

**უ. ფილიევი,**

რუსთავის მე-17 საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი.

## არა, არ შეიძლება!

სავსებით ვეთანხმებით მ. მჭედლიშვილს. იგი მართებულად შენიშნავს, რომ გაკვეთილი გაკვეთილს არ ჰგავს, როცა მასწავლებელს ერთდროულად უხდება მეცადინეობა გოგონებთან მხატვრულ ტანვარჯიშში, ჭაბუკებთან — ჭიდაობაში. ამ მაგალითს შეიძლება დავუმატებთ: IV-VIII კლასებში, სადაც თითოეულ კლასში 35-40 და ზოგჯერ მეტი მოსწავლეა, მეცადინეობა ტარდება მძლეოსნობაში — რბენაში, სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში, ან ტანვარჯიშულ იარაღებზე. ამის შემდეგ სამუშაოდ ათიოდე წუთი თუ რჩება. განა ამ პირობებში შეიძლება ნორმალური გაკვეთილის ჩატარება? მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: არა, არ შეიძლება!

სწორია მ. მჭედლიშვილი იმაშიც, რომ საჭიროა რაიონულ სპარტაკიადებში მონაწილეობდნენ სპორტსკოლების ჯგუფები და არა სკოლების ნაკრები გუნდები. ჩვენი აზრით, ნაკრების გამოყვანა ხელს უწყობს სხვისი შრომის ნაყოფის მითვისებას. მაგრამ აქ ერთი საკითხი გვაფიქრებს: რა ქნას იმ მოსწავლე სპორტსმენმა (ვგულისხმობთ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიან სკოლებს), რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ ირიცხება სპორტსკოლაში, მაგრამ აშკარად სჯობს იქ აღზრდილ თანატოლებს? განა ასეთ მოსწავლეს შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება არ უნდა მივცეთ?

სასურველია ისევ ტარდებოდეს სოფლის სკოლების რესპუბლიკური სპარტაკიადა, რაც ხელს შეუწყობს სპორტის პოპულარობას, სოფლად ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლენას.

**ა. კაპანაძე,**

**ლ. ზურაბაშვილი,**

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ნინიგორის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებლები.

# 21 გუნდი, 252 სპორტსმენი

ბათუმის „დინამოს" სტადიონზე ორ დღეს გაგრძელდა საქართველოს მოსწავლე მძლეოსანთა პირად-გუნდური პირველობა უმცროსი ასაკის (1960-1962 წლებში დაბადებულნი) სპორტსმენთა შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების 21 ნაკრები გუნდის 252 სპორტსმენი.

შეჯიბრება საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარდა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით სტადიონის დირექციასა და ასპარეზობის მთავარ მსაჯს, რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრს კ. გიორგაძეს.

წარმატებას მიაღწია აჭარის მოსწავლეთა ნაკრებმა, რომელმაც საერთო გუნდურ ჩათვლაში 370,3 ქულა მოაგროვა და პირველობა მოიპოვა.

II ადგილზე გავიდა თბილისის № 2 სპორტსკოლა-ინტერნატის კოლექტივი — 328 ქულა. III ადგილზეა თბილისის პირველი გუნდი — 278.

გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები:

**გოგონები.** რბენა. 60 და 300 მ. ო. ვიქტოროვა (აფხაზეთი) — 8,2 და 46,4, 600 მ. ლ. გოლუშკო (წყალტუბო) — 1.44,2. ბირთვის კვრა. ც. მჟავანაძე (აჭარა) — 10,48. სიმაღლეზე ხტომა დ. ჯიოევა (ცხინვალი) — 135. 80 მეტრზე თარჯრბენი. ი. გულკო (აფხაზეთი) — 15,5. სიგრძეზე ხტომა. ნ. ლაპინა (მახარაძე) — 484. შუბის ტყორცნა. რ. ჯინჯიხარაული (№ 2 სპორტსკოლა-ინტერნატი) — 27,44. ბადროს ტყორცნა. ნ. გონგაძე (ხაშური) — 29,13. ხუთჭიდი. გ. ჩხიკვაძე (აჭარა) — 574 ქულა.

**ჭაბუკები.** რბენა 60 მ. დ. ჩუტკერაშვილი (თბილისი) — 7,5, 300 მ. გ. ნემსაძე (აჭარა) — 41,6, 800 მ. ს. კაიფაჯანი (ახალციხე) — 2.13,1. 110 მეტრზე თარჯრბენი. ს. ბეჟანიშვილი (№ 2 სპორტსკოლა-ინტერნატი) — 15,2. სიგრძეზე ხტომა. ს. ბეჟანიშვილი — 594, შუბის ტყორცნა. თ. ზვიადაური (№ 2 სპორტსკოლა-ინტერნატი) — 43,76. ბირთვის კვრა. ი. უშაკოვი (აჭარა) — 12,83. სიმაღლეზე ხტომა. რ. სიორდია (ფოთი) — 165. ბადროს ტყორცნა. გ. იგნატაშვილი (ხაშური) — 35,62, ექვსჭიდი. ე. ქართიევი (№ 2 სპორტსკოლა-ინტერნატი) — 965 ქულა.

**ო. მურვანიძე,**

(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

მძლეოსნობა

## ფეხბურთი

### სსრ კავშირის პირველობა

● ●

#### II ლიგა III ზონა

18 ოქტომბერი.

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „დინამო“ (კიროვაბადი) 8:1**

გათამაშების ბოლოსწინა ტურში ზუგდიდელი ფეხბურთელები კონკრეტული და საპასუხისმგებლო ამოცანის წინაშე იდგნენ: გამარჯვება კიროვაბადელ თანაკლუბელებთან მათ აძლევდა იმ 2 ქულას, რაც საკმარისი იყო II ლიგაში დასარჩენად. ზუგდიდის გუნდი 3 ქულით უსწრებდა ფოთის „კოლხეთს“ და ამ მატჩის მოგება მისთვის სრული გარანტია იყო მიზნის შესრულებისა.

მასპინძლებმა დიდი მონდომებით, ენერგიულად ითამაშეს და არსებითად პირველ ტაიმშივე უზრუნველყოფილი ჰქონდათ მოგება. მე-15 წუთზე გადელიამ ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში, 30-ე წუთზე ლომსაძე ინდივიდუალური გარღვევის შემდეგ პირისპირ დარჩა მეკარე ჰუსეინოვთან და გოლით დაამთავრა ეს ორთაბრძოლა, შემდეგ კი ქვარაიამ ანგარიში 3:0-მდე აიყვანა.

შესვენების შემდეგაც საკმაო ხანს უპირატესობა ზუგდიდელებს ჰქონდათ, მაგრამ მერე გუნდმა უკლო ტემპს და საშუალება მისცა მეტოქეს რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევა განეხორციელებინა, რომელთაგან ერთ-ერთი აბასოვის მიერ გატანილი საპასუხო გოლით დამთავრდა.

მატჩის დასასრულს მასპინძელთა დაცვამ და მეკარე წყაროზიამ რამდენიმე სახიფათო მომენტში იხსნეს გუნდი.

**ზ. ალშიბაია.**

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

#### უმაღლესი ლიგა

გუშინწინ ვოროშილოვგრადში შედგა მორიგი კალენდარული მატჩი: „ზარია“ — „არარატი“.

გაიმარჯვა „ზარიამ“ — 1:0. გოლი 46-ე წუთზე გაიტანა ვ. კუზნეცოვმა.




### მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

● ●

## კარპოვი — კორჩნოი 2:0 (11 ყაიმი)

მოსკოვი, 18 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). XIV პარტიაში კორჩნოიმ მეხუთედ გამოიყენა ფრანგული დაცვა, რომელმაც შავებით თამაშის დროს 1. e4-ის წინააღმდეგ ყველაზე მეტად გაუმართლა. სწორედ ამ სადებიუტო სისტემაში მეტოქეებმა მწვავე თეორიული პაექრობა გააჩაღეს. კორჩნოიმ ამჯერადაც ახალი სიტყვა თქვა: შავუჯრედოვანი კუ სამოქმედოდ სხვა დიაგონალზე გადაიყვანა..

კარპოვი უპრეტენზიოდ თამაშობდა. როგორც ჩანს, XIII პარტიაში თორმეტსაათიანმა ბრძოლამ ისიც დაღალა, ამიტომ ახლა რთულ ბრძოლას თავი აარიდა და მე-18 სვლით ფიგურათა გაცვლების სერია გამოიწვია, რასაც დაფიდან ლაზიერების გაქრობაც მოჰყვა. თამაში თანაბარ ენდშპილში გადავიდა. 31-ე სვლის დროს მეტოქენი დაზავდნენ.

ხვალ, 19 ოქტომბერს, მეტოქენი ერთმანეთს შეხვდებიან XIII პარტიის დასამთავრებლად, რომელიც გუშინ 96-ე სვლაზე გადაიდო.

გთავაზობთ XIV პარტიას.

**კარპოვი — კორჩნოი**

ფრანგული დაცვა

1. e4 e6 2. d4 d5 3. მd2 c5 4. ed ed 5. მgf3 მc6 6. კb5 კd6 7. 0—0 cd 8. მb3 მe7 9. მb:d4 0—0 10. c3 კg4 11. ლa4 კh5 12. კd3 კc5 13. ეe1 h6 14. კe3 კb6 15. h3 ლd6 16. კe2 ეfe8 17. ეad1 ლf6 18. მh2 კ:e2 19. ე:e2 მ:d4 20. კ:d4 ლc6 21. ლ:c6 bc 22. ეle1 კ:d4 23. cd მფf8 24. მf3 მg6 25. g3 ე:e2 26. ე:e2 f6 27. მფf1 ეb8 28. ეc2 ეb6 29. მფe2 ეa6 30. b3 მფe7. ყაიმი.

## ნახევარი გზა გავლილია

ოდესაში მიმდინარეობს მოჭადრაკე ვაჟთა 42-ე საკავშირო ჩემპიონატის I ლიგის ტურნირი. ბრძოლა ფინალის VIII და IX ტურებშიც უშეღავათო იყო.

VIII ტურში ა. ბელიავსკიმ (ლვოვი) კარგი სტილით დაამარცხა გ. ტუკმაკოვი (ოდესა), ვ. სმისლოვმა (მოსკოვი) ენდშპილში სძლია ვ. ჟურავლიოვს (კალინინგრადი), ი. კლოვანმა (რიგა) — ო. ავერკინს (სვერდლოვსკი).

უკრაინის ჩემპიონმა ლ. ალბურტმა ულამაზესი პარტია შექმნა ვ. კუპრეიჩიკთან (მინსკი) შეხვედრაში. აქ იყო ღრმა მანევრები, ლაზიერების შეწირვა და გონებამახვილური ენდშპილი. მსაჯთა კოლეგიამ ეს პარტია, როგორც ლამაზი თამაშის ნიმუში საგანგებო პრიზზე წარადგინა.

პირველად დამარცხდა მ. დვორეცკი (მოსკოვი), მან ნ. რაშკოვსკისთან (კურგანი) წააგო. ყაიმით დამთავრდა კ. ლერნერ — მ. პოდგაეცის (ორივე — ოდესა), ი. ბალაშოვ — დ. ბრონშტეინის (ორივე — მოსკოვი), ო. რომანიშინ (ლვოვი) — ი. რაზუვაევის (მოსკოვი), ვ. სავონ (ხარკოვი) — ვ. ცეშკოვსკის (ომსკი) პარტიები.

IX ტურში დაზარალდნენ დიდოსტატები ბრონშტეინი და ტუკმაკოვი. პირველმა მძაფრი დებიუტი — მეფის გამბიტი გამოიყენა კლოვანის წინააღმდეგ, მაგრამ, როცა მეტოქემ იერიშის ტალღა მოიგერია, ბრონშტეინმა მოგებაზე განაგრძო თამაში და თავად წააგო. ოდესელი დიდოსტატი აშკარად არ არის ფორმაში და კუპრეიჩიკთანაც ვერაფერი გააწყო.

კვლავ დამარცხდა დვორეცკი, ამჯერად — ცეშკოვსკისთან. ჟურავლიოვმა მოუგო რაზუვაევს, ავერკინმა — ბელიავსკის, სავონმა — პოდგაეცს, რომანიშინმა — ალბურტს. ეს ალბურტის პირველი წაგებაა.

ყაიმით დამთავრდა სმისლოვ-რაშკოვსკისა და ლერნერ — ბალაშოვის შეხვედრები.

გადადებული პარტიების დამთავრებისას რომანიშინმა დაამარცხა სმისლოვი, პოდგაეცმა — ბრონშტეინი. ყაიმზე შეთანხმდნენ კუპრეიჩიკი — რაზუვაევი და ლერნერი — ცეშკოვსკი.

ამრიგად, მონაწილეებმა შეჯიბრების ნახევარი გზა განვლეს. 9 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ა. ბელიავსკი, ო. რომანიშინი — 6-6 ქულა, ლ. ალბურტი, კ. ლერნერი, ვ. ცეშკოვსკი — 5,5-5,5, ი. ბალაშოვი, ი. კლოვანი, ნ. რაშკოვსკი — 5-5, დ. ბრონშტეინი, ვ. სავონი, ვ. სმისლოვი, მ დვორეცკი, ვ. კუპრეიჩიკი — 4,5-4,5.

### ტრისტან ქადაგიშვილი



29 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა სპორტის ოსტატი საავტომობილო სპორტში, საქართველოს ნაკრების წევრი ტრისტან გიორგის ძე ქადაგიშვილი.

16 წელი შესწირა მან საყვარელ სპორტს. 16 წლის მანძილზე გამოდიოდა სხვადასხვა ტურნირში, რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში. იყო ბეჯითი და ინტერესიანი სპორტსმენი, გულისხმიერი მეგობარი და მწვრთნელის ყოველი მითითების უნაკლო შემსრულებელი.

ტრისტან ქადაგიშვილის სპორტული ნიჭი მთელი ძალით გამოვლინდა საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ. მან რამდენიმე ლამაზი გამარჯვება მოიპოვა საგზატკეცილო-წრიულ შეჯიბრებებში, იყო რესპუბლიკისა და „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს მრავალგზის ჩემპიონი.

განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა ტრისტან ქადაგიშვილისთვის წლევანდელი სეზონი. მან ჯერ რიგაში მოიგო დიდი საკავშირო შეჯიბრება „ქარვის ვოლგა“, მერე კი მინსკში ყველას აჯობა „მოსკვიჩ-412“-ებით ასპარეზობაში „ოქროს შემოდგომა“.

მისი ცხოვრება მოულოდნელად შეწყდა... ბევრი რამ დარჩა გაუკეთებელი ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე სპორტსმენს.

**საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტი; ავტო-მოტოსპორტის რესპუბლიკური ფედერაცია.**

#### ჩემპიონატები, თასები, ლიგები

### ფინეთი

პირველობის გათამაშების ბოლო მატჩში კუოპიოს „პალოსეურამ“ ანგარიშით 4:2 დაამარცხა ფინეთის 1973 წლის ჩემპიონი — ჰელსინკის „იალკაპალო კლუბი“ (ჰიკ-ი) და თავად მოიხვეჭა ეს უმაღლესი წოდება. ეს კუოპიოელთა მეოთხე წარმატებაა ეროვნულ ჩემპიონატებში: მანამდე მათ 1956, 1958 და 1966 წლების გათამაშებებში გაიმარჯვეს. ბოლო ტურში წაგებამ (1:3 — „ტიუიოვიაინენ პალოლიიატთან“) ვერ შეარყია ლაჰტის „რეიპასის“ პოზიცია — ამ გუნდმა II საპრიზო ადგილი დაიკავა.

ლაჰტელმა ფეხბურთელებმა ასევე კარგად იასპარეზეს ეროვნული თასის გათამაშებაში — მეოთხედ მოიპოვეს ეს საპატიო პრიზი. ფინალურ მატჩში მათ ანგარიშით 1:0 დაამარცხეს „ტიუიოვიაინენ პალოლიიატი“. ბრძოლა უაღრესად მძაფრი იყო. ერთადერთი ბურთი 70-ე წუთზე გაიტანა „რეიპასის“ თავდამსხმელმა მ. სანდბერგმა.

აი, ჩემპიონატის ხუთი საუკეთესო გუნდი:

| | ქ. | ბ. |
|---|---|---|
| „პალოსეურა“ | 33 | 62—30 |
| „რეიპასი“ | 30 | 49—26 |
| ჰიკ-ი | 28 | 43—27 |
| „პალოკისატი“ (მიკელი) | 26 | 29—27 |
| „პალოტოვერიტი“ (კუოპიო) | 22 | 30—30 |

#### უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### სულ ორიოდე თვე...

სულ ორიოდე თვე გაძლო გამოჩენილმა სპეციალისტმა ა. დი სტეფანომ პორტუგალიის ჩემპიონის — ლისაბონის „სპორტინგის“ სათავეში. იგი აშკარად ვერ შეეგუა ამ კლუბის დირექტორატს და გადადგომა არჩია.

სად იმუშავებს დი სტეფანო, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

● ●

### უხეში თამაშისთვის

უეფა-ს სადისციპლინო კომისიამ განიხილა საბერძნეთის კლუბ „არისის“ საკითხი. ეს გუნდი ვენაში უეფა-ს თასზე „რაპიდთან“ შეხვედრისას ძალიან არასპორტულად, უხეშად და გამომწვევად იქცეოდა.

კომისიის გადაწყვეტილებით, „არისი“ დაჯარიმდა 3000 შვეიცარიული ფრანკით. გუნდი გააფრთხილეს, რომ მსგავსი ამბის გამეორების შემთხვევაში უეფა-ს ტურნირებში მას აღარასდროს დაუშვებენ.

● ●

### 1216 გოლი!

როგორც ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, პელემ თავი დაანება თამაშს.

მას შემდეგ, რაც პელემ ხელი მოაწერა პროფესიულ კონტრაქტს, მან მონაწილეობა მიიღო 1253 მატჩში და ამ ხნის განმავლობაში გაიტანა 1216 ბურთი!

● ●

### კენჭისყრა 7 ნოემბერს მოეწყობა

1976 წლის ოლიმპიადა, როგორც ცნობილია, მონრეალში გაიმართება. სხვა შეჯიბრებებთან ერთად დიდ ინტერესს იწვევს ფეხბურთელთა 16 გუნდის ფინალური ტურნირიც.

ამ ტურნირს წინ უძღვის შესარჩევი შეჯიბრება. გუნდების ჯგუფებად დანაწილებისთვის კენჭისყრა მოეწყობა 7 ნოემბერს.

### 19 45

◆ მეხიკო, 19 ოქტომბერი. მექსიკის ექვს ქალაქში გრძელდება ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატების ნახევარფინალური ტურნირები. ტიხუანაში სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა პირველ მატჩში ანგარიშით 3:2 (11:15, 15:1, 13:15, 15:7, 15:3) სძლია კანადის გუნდს, ხოლო პუებლაში საბჭოთა ვაჟთა კოლექტივმა წააგო თამაში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან — 0:3 (7:15, 11:15, 7:15). კუბელებმა მოუგეს ბრაზილიელებს — 3:0. იაპონიის ვაჟთა ნაკრებმა ჰოლანდიელებს აჯობა — 3:0. იაპონიის ქალთა გუნდმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხა უნგრელები. პოლონეთის ვაჟთა კოლექტივმა მსოფლიო ჩემპიონს — გდრ-ის ეროვნულ გუნდს მოუგო — 3:0.

#### საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადა

## ორივე ფინალში — „ბურევესტნიკი“ და „სპარტაკი“

თბილისში, კალათბურთელთა სარბიელზე გამოვიდა ქალთა და ვაჟთა 7-7 გუნდი — აჭარის, აფხაზეთის, თბილისის, ქუთაისის, სამტრედიის კოლექტივები.

ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის პირველ ეტაპზე შეხვედრები ქვეჯგუფებში ჩატარდა. შემდეგ ქვეჯგუფებში გამარჯვებულნი ჩემპიონობისთვის ხვდებოდნენ ერთმანეთს, სხვა გუნდები კი — დანარჩენი ადგილებისთვის.

ვაჟთა ქვეჯგუფებში გაიმარჯვეს „ბურევესტნიკმა“, რომელიც უნივერსიტეტის სტუდენტებით იყო დაკომპლექტებული, და თბილისის „სპარტაკმა“. თავიდან მათი მატჩი ბურევესტნიკელთა უპირატესობით წარიმართა — ისინი ლიდერობდნენ 8-10 ქულის უპირატესობით. მაგრამ ტაიმის ბოლოს სპარტაკელებმა იერიშები გააძლიერეს და შეძლეს ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეემცირებინათ — 36:37.

დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა მეორე 20 წუთიც. დაახლოებით შუა ტაიმიდან სპარტაკელები დაწინაურდნენ. ანგარიშში მიღწეული სხვაობა (5-7 ქულა) წარმატების საფუძველს ქმნიდა. „ბურევესტნიკმა“ მხოლოდ დიდი მონდომების წყალობით შეძლო დასწეოდა მეტოქეებს, მერე კი დაწინაურდა კიდეც და ეს მძიმე მატჩი მოიგო ანგარიშით 70:64. გამარჯვებულთაგან პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ბერელიძე, რომელმაც ბოლო სამ წუთში თავის გუნდს 11 ქულა შესძინა (სამი ტყორცნა თამაშიდან და ხუთი საჯარიმო ქულა). სულ მის ანგარიშზე 29 ქულაა.

გაგაცნობთ ვაჟთა გუნდების დანარჩენ შეხვედრათა შედეგებს: III-IV ადგილებისთვის — „კოლმეურნე“ (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) — „ვოდნიკი“ (ბათუმი) 74:67 (40:38); V-VI ადგილებისთვის — „ლოკომოტივი“ („მეტრომშენი“) — „შრომითი რეზერვები“ (თბილისი) 98:60 (39:26). „განთიადმა“ VII ადგილი დაიკავა.

შედარებით ნაკლებ დაძაბული იყო ქალთა გუნდების ფინალური მატჩი. აქაც „ბურევესტნიკი“ და „სპარტაკი“ შეხვდნენ ერთმანეთს. როგორც მოსალოდნელი იყო, სპარტაკელებმა დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს თავიანთს სახელოვან მეტოქეებს, რომელთა რიგებში გამოდიოდა ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების რამდენიმე წევრი — 38:69 (20:30). მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ სოხუმში სპარტაკელთა ახალგაზრდული გუნდი გამოჩნდა, სასიხარულოა.

გაგაცნობთ დანარჩენ შეხვედრათა შედეგებს: III-IV ადგილებისთვის — „კოლმეურნე“ (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედიისა და ქუთაისის ნაკრები) 79:54 (49:25), „განთიადი“ (თბილისი) — „შრომითი რეზერვები“ (თბილისი) 59:56 (26:34). VII ადგილზეა ბათუმის „ვოდნიკი“.

**ფ. ლეონიძე.**

● მეხიკო, 17 ოქტომბერი. როგორც ცნობილია, მექსიკაში მიმდინარეობს ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატები. წინასწარი თამაშების შემდეგ გამოვლინდნენ ნახევარფინალების მონაწილენი, ამ სტადიაზე მოასპარეზე ქალები ასე დაჯგუფდნენ: გვადალახარაში თამაშობენ მექსიკის, სამხრეთ კორეის, გდრ-ისა და პერუს წარმომადგენლები, მონტერეიში — იაპონიის, კუბის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და უნგრეთის გუნდები, ტიხუანაში — სსრ კავშირის, რუმინეთის, პოლონეთისა და კანადის კოლექტივები. ვაჟთა შორის ასეთი მდგომარეობაა: მეხიკოში ბრძოლაში ჩაებნენ მექსიკის, პოლონეთის, გდრ-ისა და ბელგიის გუნდები, პუებლაში — კუბის, ჩეხოსლოვაკიის, ბრაზილიისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები, ტოლუკაში — ბულგარეთის, იაპონიის, ჰოლანდიისა და რუმინეთის ნაკრები გუნდები.

● მანილა, 18 ოქტომბერი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის დღევანდელი დღე — გადადებული პარტიების დამთავრების დღე — ორივე საბჭოთა დიდოსტატისთვის ერთობ იღბლიანი გამოდგა: ე. ვასიუკოვმა და ტ. პეტროსიანმა 5 ქულა მოაგროვეს და ლიდერობა იგდეს ხელთ. I ადგილზე მყოფ ვასიუკოვს 11 ტურის შემდეგ 7,5 ქულა აქვს, ხოლო მის უახლოეს მდევარს პეტროსიანს — 7. ვასიუკოვმა გადადებული პარტიები მოუგო ლ. პორტიშს (უნგრეთი) და ფ. გეორგიუს (რუმინეთი), პეტროსიანმა — ს. გლიგორიჩს, ლ. ლიუბოევიჩს (ორივე — იუგოსლავია) და ე. კრაიდმანს (ისრაელი). დიდხანს ლიდერის როლში მყოფმა ბ. ლარსენმა (დანია) მესამე პარტია წააგო, ამჯერად ჰ. პფლეგერთან (გფრ) დამარცხდა და 6,5 ქულით III-IV ადგილებს იყოფს გეორგიუსთან. შეჯიბრების ბოლომდე 4 ტური დარჩა.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 14173